გორის კერძო და მუნიციპალურ სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო

18 სექტემბერი 2017

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლების გაერთიანების ორაგნიზაებით, 2017-2018 წლების სასწავლო წლის გახსნასთან დაკავშირებით, გორის სასპორტო სკოლაში ღონისძიება გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ახალი სასწავლო წლის პრეზენტაცია. ღონისძიებას ადგილობრივ სპორტსმენებთან და სპორტის მოღვაწეებთან ერთად შიდა ქართლის რწმუნებული-გუბერნატორი კახა სამხარაძე ესწრებოდა, რომელმაც სპორტსმენებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და ცენტრალური ხელისუფლების სახელით თანადგომას დაპირდა.

,,გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას. ნაყოფიერ და წარმატებულ წელიწადს გისურვებთ. გეტყვით, რომ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია რეგიონში ისედაც განვითარებული სპორტული ცხოვრების კიდევ უფრო განვითარება. ამისთვის გორში შენდება ახალი სპორტის სასახლე. სპორტის სასახლის მშენებლობა მიმდინარეობს ხაშურშიც. სპორტული კომპლექსის მშენებლობა დასრულდა კასპში. უახლოეს მომავალში ჩვენი რეგიონის ქალაქებს უკვე ტურნირების მასპინძლობა შეეძლება, რაც კიდევ უფრო მეტ ცნობადობას და წარმატებას მოუტანს როგორც გორს ისე მთლიანად შიდა ქართლის რეგიონს - აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას რეგიონის გუბერნატორმა.

სპორტლი სკოლების გაერთიანების პრესსამსახურის ხელმძღვანელის ვასილ ბალახაძის თქმით, სკოლების გაერთიანება პერიოდულად საზოგადოებას სააგნაგრიში ღონისძიებების სახით მიაწვდის ინფორმაციას სპორტის სხვადსხვა სახეობებში მიმდინარე სიახლეებისა და მიღწევების შესახებ. ,,ჩვენ დავამზადეთ სპეციალური ბანერი, რომელიც საშუალებას მოგვცემს შესაბამის გარემოში გავმართოთ პერსკონფერენციები და საანგარიშო შეხვედრები“ - აღნიშნა ვასილ ბალახაძემ. მისივე თქმით, სპორტული სკოლების გაერთიანებას, ძალოსნობის წრეც დაემატა, სადაც ძალოსნობით დაინტერესებულ ახალგაზრდებს სპორტის ამ სახეობის შესწავლაში ძალოსნობის ფედერაციიდან სპეციალურად მოვლენილი მწვრთნელი გაუწევს დახმარებას.

სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა გორის ,,წმინდა გიორგის სახელობის კერძო სკოლაშა-ლიცეუმშიც, რომელსაც გუბერნატორის მოადგილესთან იოსებ ოქრომელიძესთან ერთად გორის მაჟორიტარი დეპუტატი იოსებ მაკრახიძეც დაესწრო. სკოლის ხელმძღვანელობამ ხელისუფლების წარმომადგენლებს, მშობლებს და მოსწავლეებს სკოლის ტერიტორიაზე ახლად გახსნილი მცირე იპოდრომი დაათვალიერებინა, სადაც მოსწავლეებს ცხენზე ჯირითის სწავლა დამატებითი გადასახადის გარეშე შეეძლებათ. იოსებ ოქრომელიძემ ბავშვებს,მშობლებსა და მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და წარმატებები უსურვა.